ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 12 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 14:00 -15:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ნიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
4. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
5. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ცვლილებები და ეთიკის კოდექსის განხილვა
2. მიკროგრანტების გაცემის საკითხი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლაშა ტუღუშმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად საბჭოს წევრებმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა პლატფორმის წესდებაში და რომელთა კენჭისყრაც უნდა მოხდეს საერთო კრებაზე. პირველი ჯგუფის კოორდინატორმა და ორგანიზაციის დირექტორმა, ლაშა ტუღუშმა, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს დეტალურად განუმარტა წესდების ცვლილების პროექტში ასახული ყველა ცვლილება თუ დამატება, რომელიც მომზადდა. იმ ფაქტმა, რომ ფორუმმა შეიმუშავა ახალი ეთიკის კოდექსი, ეროვნული პლატფორმები ვალდებულნი იყვნენ, თავიანთი კოდექსი მოეყვანათ შესაბამისობაში აღნიშნულ დოკუმენტთან. შესაბამისად, კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადდა ლიბერალური აკადემია - თბილისის მიერ , არის ცვლილებების პროექტი ეთიკის კოდექსში, რომელიც ასევე განიხილა საკოორდინაციო საბჭომ და რომელიც წესდებასთან ერთად გადაიგზავნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციასთან, რათა წინასწარ გაეცნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

ასევე განხილული იყო საერთო კრების გადადების საკითხი, რომელიც გამოიწვია ევროდელეგაციის საკონსულტაციო შეხვედრებისა და ეროვნული პლატფორმის საერთო კრების თარიღის დამთხვევამ.

მნიშვნელოვანი საკითხია პლატფორმის მიერ გრანტების გაცემის საკითხი, რომელიც წელს პირველად განხორციელდება, იმ ცვლილებების საშუალებით, რომელიც ფორუმმა მიიღო მიმდინარე წელს. შესაბამისად საკოორდინაციო საბჭომ უნდა იმსჯელოს გრანტების გაცემის წესზე და მოამზადოს შესაბამისი დებულება, რომელიც დაარეგულირებს მიკროგრანტების გაცემის საკითხს. საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ საერთო კრების ჩატარებამდე მოხდება დებულების ჩამოყალიბება, რომელიც საბჭოს მიერ იქნება დამტკიცებული. მიკროგრანტების გაცემის წესის შესახებ მოსამზადებელი დებულების შემუშავების პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულები საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე